ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №184404

ნომერი: AR149602

თარიღი : 10.05.2012

გაცემის თარიღი : 25.05.2012

გაცნობის თარიღი : 25.05.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ ჯოხაძე პ/ნ 01029003179
- თბილისი მოსკოვის გამზ. N 33 კორ. 5 ბ. 16

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ხელმეორედ იქნა განხილული თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც (როგორც სამსახურის მიერ №170810 გადაწყვეტილებით გეცნობათ) ანალოგიურად გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი განთავსებულია ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტუკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით, ღობის მოწყობისათვის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია იერსახის გაუმჯობესების მიზნით მოხდეს მისი ხელახალი გადამუშავება. საპროექტო ღობის მოწყობა განხორციელდეს მეტად მსუბუქი დეკორატიული და თანამედროვე დიზაინით და წარმოდგენილ იქნას განახლებული ფოტომონტაჟი (გაბარიტული ზომებისა და მოსაპირკეთებელი მასალის მითითებით).

ასევე გაცნობებთ, რომ შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:
1. საჭიროა მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირდეს ინფორმაცია იმის შესახებ თუ რაში გამოიხატება კორექტირება.
2. საჭიროა "ფაილის მიმაგრება"–ს ველში ატვირთული იქნას საკადასტრო გეგმა, მასზე ღობის განთავსების არეალის დატანით (თქვენს მიერ "ფაილის მიმაგრება"–ს ველში ატვირთული დოკუმენტაცია ვერ იკითხება. სავარაუდოდ დაზიანებულია).

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.